ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტსა

და

სსიპ ახალგაზრდობის რეგიონულ ცენტრს

შორის

პრეამბულა

ერთი მხრივ, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი რექტორის მაია ჭიჭილეიშვილის სახით და მეორე მხრივ, სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი (შემდგომ „ცენტრი“) წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თამარ გაბაიძის სახით, (შემდგომში „მხარეები“), წინამდებარე მემორანდუმით თანხმდებიან, რომ ხელს უწყობენ ახალგაზრდების ჩართულობას, საზოგადოებრივ, შემოქმედებით, კვლევითი საქმიანობის განვითარებაში და კულტურულ ცხოვრებაში.

1. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს:

ა) ახალგაზრდობის სფეროში ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება და ურთიერთმხარდაჭერა;

ბ) ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების ფიზიკური შესაძლებლობების გამოვლენისა და გაღრმავების, კვლევითი საქმიანობის განვითარების, შემოქმედებითი და კულტურული ცხოვრების, თავისუფალი დროის სწორად მართვისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდის მიზნით, ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება და კოორდინაცია;

2. მხარეთა თანამშრომლობის ფორმები

წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული მიზნის მიღწევისათვის მხარეები შეთანხმდნენ:

ა) საზოგადოებისათვის ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ხელი შეუწყონ ერთმანეთს წინამდებარე მემორანდუმში დაფიქსირებული პირობების შესრულებაში;

ბ) მიიჩნევენ რა, რომ სასარგებლო იქნება ორივე მხარის ინტერესების შესაბამისად სხვადასხვა დონეებზე კონსულტაციების გამართვა და მოსაზრებების გაცვლა;

გ) იღებენ ვალდებულებას ყველა ღონე იხმარონ შექმნან სათანადო პირობები წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად;

დ) მხარეები თანხმდებიან, რომ შეიმუშაონ ინფორმაციული მხარდაჭერისა და თანამშრომლობის მექანიზმები;

ე) პატივს სცემენ რა, ერთმანეთის იმიჯსა და ავტორიტეტს, თანხმდებიან რომ მჭიდროდ ითანამშრომლებენ საერთო ინტერესების სფეროში შემავალი საკითხების განხილვის პროცესში.

3. მხარეთა უფლება/მოვალეობანი

3.1. რეგიონის მასშტაბით სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს:

ა) ახალგაზრდობის სფეროში ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო ღონის-ძიებებისა და პროგრამების განხორციელება-კოორდინაცია;

ბ) საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში სტუდენტების ჩართულობა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და კავშირების დამყარების მიზნით შესაბამისი პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელება;

გ) მოხალისეობრივი საქმიანობის პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის, სტუდენტების კარიერული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შესაბამისი პროგრამების შემუშავება, განხორციელება და კოორდინაცია;

დ) სტუდენტების ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობების გამოვლენისა და გაღრმავების, თავისუფალი დროის სწორად მართვისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდის მიზნით შესაბამისი პროგრამების შემუშავება, განხორციელება და კოორდინაცია;

ე) ახალგაზრდობის შრომითი საქმიანობის ხელშეწყობის, შეზღუდული შესაძ-ლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისა და გააქტიურებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა;

ვ) ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, ახალგაზ-რდობის სფეროს განვითარების მიზნით კავშირების დამყარება და თანამშრომლობის გაღრმავება;

ზ) განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობა;

თ) საჭიროების შემთხვევაში ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მარკეტინგული სერვისების დანიშნულებისამებრ გამოყენების მხარდაჭერა.

3.2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი მემორანდუმის ფარგლებში იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს:

ა) ცენტრის სერვისებით სარგებლობის მხარდაჭერა აჭარაში მცხოვრები სტუდენტებისათვის;

ბ) ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებული სტუდენტებისათვის სხვადასხვა სახის შეთავაზებებში მხარდაჭერა.

4. დამატებითი შეთანხმება

ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელებისათვის, მხარეებს შეუძლიათ დადონ დამატებითი შეთანხმება რომელიც უნდა მოიცავდეს :

ა) შესასრულებელი ქმედებების კონკრეტულ განრიგს;

ბ) ბიუჯეტს და დაფინანსების წყაროებს;

გ) ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით სარგებლობა;

დ) ნებისმიერ სხვა საკითხს, რომელიც აუცილებელია თანამშრომლობისთვის.

5. მემორანდუმის მოქმედების ვადა

5.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს უვადოდ;წინამდებარე მემორანდუმი შესაძლებელია გაუქმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, ერთი (1) თვით ადრე გაკეთებული წინასწარი გაფრთხილების საფუძველზე, დავების გადაწყვეტა და ნებისმიერი უთანხმოება, რომელიც წარმოიქმნება ან დაკავშირებულია ამ მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან, გადაიჭრება მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

6. დასკვნითი დებულებები

6.1. მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თანამშრომლობის

მიმდინარეობისა და შედეგების განხილვის მიზნით, მემორანდუმის მხარეები თანხმდებიან სამუშაო შეხვედრების გამართვის მიზანშეწონილობაზე;

6.2. ორმხრივი თანამშრომლობის საკითხების კოორდინაციისა და სამუშაო გეგმების მომზადების მიზნით, მხარეები განსაზღვრავენ პასუხისმგებელ პირებს;

6.3. მემორანდუმის მონაწილე მხარეებს უფლება არა აქვთ ცალმხრივად შეცვალონ მემორანდუმის პირობები;

6.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა მემორანდუმის პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით, ერთი თვით ადრე, შეატყობინოს მემორანდუმის მონაწილე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

6.5. მემორანდუმის პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მემორანდუმის დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება მემორანდუმის განუყოფელ ნაწილად.

6.6. წინამდებარე მემორანდუმთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე;

6.7. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	**სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი**
რექტორი	**დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი**
მაია ჭიჭილეიშვილი	**თამარ გაბაიძე**
საქართველო, ბათუმი ვაჟა-ფშაველას ქ. N 32 ტ. +995 593 362361 ელ.ფოსტა: info@batu.edu.ge ვებ.გვ. batu.edu.ge	საქართველო, ბათუმი ჟიული შარტავას ქ. N 13 ელ. ფოსტა : info@yrc.ge
ხელმოწერა: _____	ხელმოწერა: _____

ქ.ბათუმი

09 /11/2022